პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 10 (5040)
1974 წ. 15 იანვარი, სამშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან







# ნონა გაფრინდაშვილი — სსრ კავშირის ჩემპიონი

თბილისი. ჭადრაკის სასახლე. 12 იანვარი. გადადებული პარტიების დამთავრება.

ნ. გაფრინდაშვილი (თბილისი) — ვ. სტერნინა (მოსკოვი) 1:0, მ. ჩიბურდანიძე (თბილისი) — გაფრინდაშვილი 0:1, ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი) — კ. ზვორიკინა (მინსკი) 0:5:0,5, ტ. ზატულოვსკაია (მოსკოვი) — კოზლოვსკაია 0,5:0,5, ლ. ლიუბარსკაია (დონის როსტოვი) — ლ. სემიონოვა (კიევი) 0,5:0,5, სემიონოვა — ზატულოვსკაია 1:0, ნ. ალიოხინა (ვორონეჟი) — ა. კისლოვა (ომსკი) 0,5:0,5, ო. პედკო (სოჭი) — ვ. ბორისენკო (ტაშკენტი) 0,5:0,5, კისლოვა — ლიუბარსკაია 0,5:0,5, ე. სტრელნიკოვა (კუიბიშევი) — ჩიბურდანიძე 1:0.

გადადებული პარტიების დამთავრებამ სინათლე შეიტანა ლიდერთა წყობაში. ჩემპიონობის კანდიდატთა რიცხვიც სამამდე შემცირდა. ესენი იყვნენ: გაფრინდაშვილი, შული და მედიანიკოვა.

მსოფლიო ჩემპიონმა ზედმეტპაიკიანი ენდშპილი სტერნინასთან მეთოდური თამაშით გამარჯვებით დააგვირგვინა. მერე კი ჩიბურდანიძესთან განაახლა ბრძოლა. აი, როგორ წარიმართა პარტია:

ჩიბურდანიძე (თეთრები): მფh1, ეb5, ეb1, კd2, მe2, პპ. a5, d4, e5, f4, g2, h3.

გაფრინდაშვილი (შავები): მფc6, ეa8, ეg7, კc7, მb8, პპ. b6, d5, e6, f5, f6, h4.

42. ... ba 43. ეc5+ მფd7 44. ef ეf7 45. მg1 მc6 46. მf3 ე:f6 47. ეb7 მფc8 48. ე7b5 ეa6 49. ეb1 a4 50. ეbc1 მფd7 51. მ:h4 a3 52. მf3 ეf8 53. ეb5 a2 54. ეa1 ეa4 55. კc3 კ:f4 56. ეb7+ კc7 57. ეb2 ეfa8 58. ეc2 ეc4 59. ე2c1 კf4 60. მd2 კ:d2 61. კ:d2 ე:c1+ 62. კ:c1 მ:d4. ჩიბურდანიძე დანებდა.

ამ ორი მოგებით გაფრინდაშვილმა ნახევარი ქულით გაუსწრო შულსა და მედიანიკოვას.

კოზლოვსკაიამ ბევრი იბრძოლა, მაგრამ ერთი ქულის მეტი ვერ მიიღო და IV ადგილზე დარჩა. ლიუბარსკაიას პარტიის საშინაო ანალიზმა აჩვენა, რომ კისლოვასთან უარეს პოზიციაში მუდმივი ქიში ჰქონდა. ამიტომ მეტოქენი დაზავდნენ. ჩიბურდანიძეს სტრელნიკოვასთან ძალიან გაბედული სვლა ჰქონდა ჩაწერილი. ბრძოლამ ახალი ძალით იფეთქა, მაგრამ უპირატესობა კუიბიშეველი ჭოჭადრაკის მხარეს იყო. მაიამ ფიგურა დაკარგა და პარტიაც დათმო.

13 იანვარი. XIX ტური.

მედიანიკოვა — ბორისენკო 0:1, ტ. ფომინა (ტალინი) — ლ. მულენკო (ზაპოროჟიე) 0:1, სტერნინა — სტრელნიკოვა 1:0, კისლოვა — ი. მატვეევა (ალმა-ათა) 1:0, გადაიდო პარტიები: ო. პედკო (სოჭი) — გაფრინდაშვილი, ა. გრინფელდი (კალინინგრადი) — მ. შული (ლვოვი), კოზლოვსკაია — ლიუბარსკაია, ჩიბურდანიძე — ზვორიკინა, ტ. მოროზოვა (ლვოვი) — ზატულოვსკაია, სემიონოვა — ალიოხინა.

რა თქმა უნდა, დასკვნითს ტურში დიდ ინტერესს იწვევდა ჩემპიონობის კანდიდატთა შეხვედრები.

ყველაზე ადრე მედიანიკოვამ დაამთავრა პარტია. მან უძველესი იტალიური პარტია გაითამაშა, ალბათ ფიქრობდა, მოულოდნელ სიტუაციაში ბორისენკო დაიბნევაო, მაგრამ შეცდა. გამოცდილმა ოსტატმა ფრთხილად, დაკვირვებით, საიმედოდ განალაგა ფიგურები და შეწირული პაიკიც შეინარჩუნა. მედიანიკოვა ცაიტნოტში მოხვდა, ხარისხი დაკარგა და 31-ე სვლაზე ფარ-ხმალიც დაყარა. ეს იყო მისი პირველი მარცხი ამ ტურნირში.

რთულად ვითარდებოდა ბრძოლა პედკო — გაფრინდაშვილის შეხვედრაში. მეტოქეებს დიდხანს არც ერთი ფიგურა არ გაუცვლიათ. ცენტრში პაიკთა დამოკიდებულება გამძაფრდა. მსოფლიო ჩემპიონმა ლაზიერის ფრთაზე ხაზები გახსნა და თავად დაეუფლა მათ.

შული კი უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. გრინფელდი თამამად უტევდა. როცა ცენტრში ფიგურები და პაიკები გაიცვალა, გრინფელდის ლაზიერი და მხედარი მეტოქის პოზიციაში შეიჭრნენ. შულმა მოსაწონი სიმშვიდე და სიმტკიცე გამოავლინა. მან მოიგერია მუქარა. ენდშპილში გადასვლის წინ გრინფელდს ალბათ მუდმივი ქიში ჰქონდა, მაგრამ ცაიტნოტშია ეს შანსი გამორჩა და უპაიკოდ დარჩა. ამ პოზიციაში პარტია გადაიდო კიდეც.

... გაფრინდაშვილმა შესამჩნევად შეავიწროვა პედკოს ფიგურები. სოჭელი ოსტატი შეურიგდა მდგომარეობას, მაგრამ პოზიცია არ დაასუსტა. მანევრირება გაგრძელდა. მსოფლიო ჩემპიონმა ინიციატივა და კარგი პოზიცია შეინარჩუნა. გადადებულ სიტუაციაში მისი უპირატესობის რეალიზებას კიდევ ბევრი თამაში დასჭირდება.

ქებას იმსახურებს კოზლოვსკაიას შემართება. მისთვის თითქოს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა ლიუბარსკაიასთან პარტიის შედეგს, მაგრამ მაინც დიდი გატაცებით თამაშობდა. კოზლოვსკაიამ ბრძოლა ენდშპილში გადაიყვანა და პაიკიც შესწირა, მაგრამ ლიუბარსკაიამ დაუბრუნა იგი. საბოლოოდ კოზლოვსკაიამ ოთხი კუს უკეთესი დაბოლოება მიიღო.

1 თებერვალს მოსკოვში განახლდება სსრ კავშირის თასის გათამაშება. ერთ-ერთ ნახევარფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან ზვორიკინა და ჩიბურდანიძე. ამიტომ დასკვნითს ტურში მათმა პარტიამ ყველა დააინტერესა.

გამოცდილმა ზვორიკინამ ნორჩ მეტოქეს რთული სტრატეგიული თამაში მოახვია თავს. მაიამ პოზიციას გასაღები ვერ მოუძებნა. როცა ცენტრი გაიხსნა, ჩიბურდანიძის ფიგურები დაცვისთვის მოუმზადებელი აღმოჩნდა. ზვორიკინა ლაზიერით შეიჭრა მეფის ფრთაზე. მართალია, თბილისელმა გოგონამ პატარა კონტრკომბინაციით ნაწილობრივ აღადგინა მატერიალური თანაფარდობა, მაგრამ ზვორიკინას გაუჩნდა ძლიერი გამსვლელი პაიკი, რომელიც მას მოგებას ჰპირდება.

კისლოვამ ეფექტური იერიშით გაანადგურა მატვეევას მეფის ლაშქარი. სტერნინას პაიკები ისე შეესივნენ სტრელნიკოვას ლაზიერის ფრთას, რომ ამ უკანასკნელს ფიგურის შეწირვამაც ვერ უშველა. მულენკომ შავი დღე დააყარა ფომინას მეფეს, როცა მან იერიშზე გადმოსულ ფიგურებს დროულად ვერ უგანა.

14 იანვარი. გადადებული პარტიების დამთავრება.

პედკო—გაფრინდაშვილი 0,5:0,5, გრინფელდი — შული 0,5:0,5, კოზლოვსკაია—ლიუბარსკაია 0,5:0,5, მოროზოვა — ზატულოვსკაია 0:1, ჩიბურდანიძე — ზვორიკინა 0:1, სემიონოვა — ალიოხინა 1:0.

ჩემპიონატი დამთავრდა. გთავაზობთ საბოლოო შედეგებს:

I. გაფრინდაშვილი — 14 ქულა, II. შული — 13,5, III. მედიანიკოვა — 13, IV. კოზლოვსკაია — 12, V-VII. ზვორიკინა, ლიუბარსკაია, გრინფელდი — 10,5-10,5, VIII-X. ალიოხინა, კისლოვა, მოროზოვა — 9,5-9,5, XI-XII. მულენკო, ფომინა — 9-9, XIII-XV. სტრელნიკოვა, სემიონოვა, სტერნინა — 8,5-8,5. XVI. პედკო — 8, XVII. ჩიბურდანიძე — 7,5, XVIII. ზატულოვსკაია — 7, XIX. ბორისენკო — 6,5, XX. მატვეევა — 5.

როგორც ჩანს, შულმა და მისმა მწვრთნელმა, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ვ. კარტმა გრინფელდთან პარტიაში გულდასმითი ანალიზითაც ვერ მონახეს მოგების გზა. ამიტომ შული მეტოქეს თამაშის გაუნახლებლად დაუზავდა.

აღარც გაფრინდაშვილმა განაგრძო თამაში. მსოფლიო ჩემპიონი პედკოს ყაიმზე შეუთანხმდა, მით უმეტეს, რომ ამ ნახევარი ქულით სსრ კავშირის ჩემპიონის სახელი უკვე მოპოვებული ჰქონდა.

კოზლოვსკაია ბევრს ეცადა დაემარცხებინა რთულ პოზიციაში მყოფი ლიუბარსკაია, მაგრამ მძაფრ წინააღმდეგობას წააწყდა და ვერაფერს გახდა. ამ პარტიით, რომელიც უკანასკნელი, 190-ე აღმოჩნდა, შეჯიბრება დამთავრდა.

საღამოს ჩემპიონატი საზეიმოდ დაიხურა.

თ. გიორგაძე.

• • •

სურათებზე: (მარცხნიდან) ნონა გაფრინდაშვილი, მარტა შული, ნინა მედიანიკოვა.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

# მოსკოვსა და ალმა-ათაში

დაიწყო ფრენბურთელ ვაჟთა 36-ე საკავშირო ჩემპიონატის მატჩები.

მოსკოვში თავი მოიყარეს ცსკა-ს, დნეპროპეტროვსკის „ავტომობილისტის", დონის როსტოვის ასკ-ს, მოსკოვის „დინამოს", მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლისა და ვოროშილოვგრადის „ზვეზდას" გუნდებმა.

ალმა-ათაში ასპარეზობენ ადგილობრივი „დოროჟნიკის", ოდესის ტექნოლოგიის ინსტიტუტის, ლენინგრადის „დინამოს", კიევის „ლოკომოტივის", ლენინგრადის „ავტომობილისტისა" და რიგის „რადიოტექნიკის" კოლექტივები.

გაიმართა სამი ტური. გაგაცნობთ შედეგებს: 11 იანვარი. მოსკოვი: ცსკა — „ავტომობილისტი" — 3:0, ასკ — „დინამო" — 3:2, უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი—„ზვეზდა" — 3:1. ალმა-ათა: ტექნოლოგიის ინსტიტუტი — „დინამო" — 1:3, „ლოკომოტივი" — „ავტომობილისტი" — 0:3, „დოროჟნიკი" — „რადიოტექნიკი" —2:3. 12 იანვარი. მოსკოვი: ცსკა — ასკ — 3:1, უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი — „დინამო" — 2:3, „ავტომობილისტი" — „ზვეზდა" — 0:3. ალმა-ათა: „დინამო" — „ავტომობილისტი" — 0:3, „დოროჟნიკი" — ტექნოლოგიის ინსტიტუტი — 3:2, „რადიოტექნიკი" — „ლოკომოტივი" — 3:0.

13 იანვარს შედგა ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა. ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში გამარჯვებული ცსკა და ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მფლობელი „ზვეზდა". ვოროშილოვგრადელებმა მონდომებით ჩაატარეს პირველი პარტია და გაიმარჯვეს — 15:10. მეორე და მესამე პარტიები არმიელებმა მოიგეს — 15:5, 15:8. მათ თითქოს იოლად უნდა მოეპოვებინათ გამარჯვება, მაგრამ ვოროშილოვგრადელებმა ძალების უდიდესი დაძაბვით მოახერხეს მეოთხე პარტიის მოგება (15:13) და მეტოქეებს ამოცანა გაურთულეს. არმიელებმა გადამწყვეტი მეხუთე პარტია აღმავლობით ჩაატარეს, მოიგეს კიდეც (15:10) და სამი ქულით ჯგუფის ლიდერები გახდნენ. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ასკ — უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი — 3:2, „დინამო" — „ავტომობილისტი" — 3:0.

ალმა-ათაში მატჩები ასე დამთავრდა: „რადიოტექნიკი" — ტექნოლოგიის ინსტიტუტი — 3:0, „ავტომობილისტი" — „დოროჟნიკი" — 3:0, „ლოკომოტივი" — „დინამო" — 3:1. სამი ტურის შემდეგ 3-3 ქულით ლიდერობენ „რადიოტექნიკი" და „ავტომობილისტი".

# კვლავ პირველი

ამ ტრადიციას საძირკველი ჩაეყარა 1970 წელს. სსრ კავშირის სამბოს ფედერაციამ (მაშინ ძიუდოს ფედერაცია არ არსებობდა) გადაწყვიტა კონკურსის საფუძველზე დაედგინა ძიუდოში წლის საუკეთესო მწვრთნელის ვინაობა. მხედველობაში იქნა მიღებული ამა თუ იმ სპორტსმენის მიერ დაკავებული ადგილები დიდ ტურნირებში, რისთვისაც მწვრთნელს შესაბამისი ქულები ერიცხებოდა (მაგალითად, ევროპის ჩემპიონი თავის მწვრთნელს 18 ქულას აძლევდა, მეორე პრიზიორი — 12, მესამე — 6 ქულას და ა. შ.). წლის ბოლოს ქულათა მეჯამების საფუძველზე გამოვლინდა სეზონის საუკეთესო მწვრთნელი.

პირველ კონკურსში გაიმარჯვა სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ბ. მაზიაშვილმა. იგი ძიუდოს საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს.

მარშანდელი კონკურსის მიხედვით წარმატება კვლავ ბ. მაზიაშვილს ხვდა, მაგრამ წინა წლებისგან განსხვავებით, ამჯერად მან ბევრად აჯობა II ადგილზე გასულ „მეტოქეს". მაზიაშვილმა დააგროვა 96 ქულა, ხოლო მისმა უკრაინელმა კოლეგამ ს. ჭოლომჩუკმა — მხოლოდ 38.

საინტერესოა აღინიშნოს ერთი დეტალიც: 1974 წლისთვის სსრ კავშირის ჭაბუკთა და უფროსთა ნაკრებ გუნდებში 22 ძიუდოისტია შეყვანილი, რომელთაგან 11 ბიძინა მაზიაშვილის მოწაფეა.



◆ ჰასტინგსი, 14 იანვარი. აქ დამთავრებულ საახალწლო ტურნირში 10-10 ქულა დააგროვა ერთდროულად ოთხმა მოჭადრაკემ: მ. ტალმა, გ. კუზმინმა (ორივე — სსრ კავშირი), ლ. საბომ (უნგრეთი) და ი. ტიმანმა (ჰოლანდია). ბოლო, მე-15 ტურში საბო და კუზმინი სწრაფად დაზავდნენ. ასეთივე შედეგით დამთავრდა ტალ-ა. მაილსის (ინგლისი) ექვსსაათიანი პაექრობა. ტიმანმა მოუგო კანადელ დ. სათლზს.

◆ ბოგოტა, 14 იანვარი. დევისის თასის ოცდაოთხგზის ჩემპიონებმა — აშშ-ს ჩოგბურთელებმა მოულოდნელი მარცხი იწვნიეს. მათ ჩრდილოეთ ამერიკის ზონის ფინალში წააგეს კოლუმბიის ნაკრებთან — 1:4. იოლი გამარჯვების იმედით ამერიკელები ბოგოტაში ჩავიდნენ უძლიერეს მოთამაშეთა — ს. სმითისა და ჯ. კონორის გარეშე და გაწბილდნენ კიდეც.

◆ სან-ხუანი, 14 იანვარი. ბ. სპასკისა და რ. ბირნის მეოთხედფინალური მატჩის პირველ პარტიაში თეთრებით ითამაშებს ამერიკელი დიდოსტატი. ეს გაირკვა წილისყრის შემდეგ. შეხვედრები გაიმართება ორშაბათობით, ოთხშაბათობითა და პარასკევობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ გაიმარჯვებს?

ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩების დაწყებამდე საკდესის სპორტულმა რედაქციამ რამდენიმე ცნობილ მოჭადრაკეს სთხოვა აზრი გამოეთქვა მომავალ შეჯიბრებაში მეტოქეთა შანსებზე.

**ბ. ლარსენი** (დანია):

— ჩემი აზრით, ნახევარფინალში გავლენ სპასკი, კარპოვი და კორჩნოი. ისინი ბევრად ძლიერნი არიან დანარჩენებთან შედარებით. ხოლო ამ სამიდან ყველაზე ძლიერი და ყველაზე უკეთ მომზადებულია მსოფლიოს ექსჩემპიონი.

პეტროსიან—პორტიშის მატჩი ძალიან საინტერესო იქნება და მისი შედეგის წინასწარ გამოცნობა ძნელია. ორივე მეტოქეს აქვს ერთგვარი უპირატესობა: პეტროსიანი ძალიან გამოცდილია, მაგრამ პორტიში მისთვის ტრადიციულად სახიფათო მოწინააღმდეგეა.

**მ. ტალი** (სსრ კავშირი):

— სპასკისა და ბირნის მატჩის შედეგი, ჩემი აზრით, წინასწარვე გარკვეულია. მე ბორისთან ვთამაშობდი თითქმის მთელი შარშანდელი წლის მანძილზე და შემიძლია ვთქვა, რომ ბოლო საკავშირო ჩემპიონატში ვიხილე ისევ ის „ძველი" სპასკი, რომელთანაც ბრძოლა ძალიან ძნელია.

პეტროსიანისა და პორტიშის პირადი შეხვედრების ანგარიში უნგრელი დიდოსტატის სასარგებლოდ მეტყველებს, მაგრამ ეს არ გამოდგება მათი მომავალი მატჩის ბარომეტრად. ტიგრანმა ამ ბოლო ხანს თეთრებით დაწყებული დაახლოებით ათი პარტიიდან პარტნიორს მხოლოდ ერთი დაამთავრებინა ყაიმით.

კორჩნოისთვის მეკინგთან თამაში კარგიც არის და ცუდიც. კარგია იმიტომ, რომ ლენინგრადელი ბევრ რამეში სჯობს მეტოქეს. მეორე მხრივ, მეკინგი ახალგაზრდაა და ამით სახიფათოა კორჩნოისთვის.

მიუხედავად კარპოვის დიდი წარმატებებისა, პოლუგაევსკისთან მისი მომავალი მატჩის შედეგზე ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვი.

**ა. პომარი** (ესპანეთი):

— მე კორჩნოის ვუწინასწარმეტყველებ გამარჯვებას მეკინგთან მატჩში.

ჩემი აზრით, 1975 წელს ფიშერის მეტოქე სწორედ ის იქნება.

**ზ. რიბლი** (უნგრეთი):

— რობერტ ფიშერის მეტოქე ან სპასკი იქნება, ან ჩემი თანამემამულე პორტიში. ჯერ ერთი, ორივე ოპტიმალურ ასაკშია დამქანცველი მატჩ-ტურნირების თვალსაზრისით; მეორეც, სპასკი უძლიერესია საბჭოთა მოჭადრაკეებში, პორტიში — შეჯიბრების დანარჩენ მონაწილეებში. მაგრამ თუ ამ ორიდან ერთ-ერთის არჩევას მომთხოვდნენ, მე დავასახელებდი სპასკის, იმ პირობით, თუ იგი კარპოვის დამარცხებას შეძლებდა.

**ი. ტიმანი** (ჰოლანდია):

— მე ყველაზე მაღლა ვაყენებ სპასკის. სხვა მოჭადრაკეებიდან ყველაზე სერიოზულ მეტოქეობას მას კარპოვი გაუწევს.

**მ. ნაიდორფი** (არგენტინა):

— ვფიქრობ, ფიშერს კარპოვი შეხვდება. მართალია, დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, ახლა იგი მსოფლიო ჩემპიონზე უკეთ თამაშობს-მეთქი, მაგრამ კარპოვის დასამარცხებლად ყველა მოჭადრაკეს სამი წელიწადი მაინც დასჭირდება, ფიშერი კი ამისთვის, ჩემი აზრით, მზადაა...

**ჩ. ალექსანდერი** (ინგლისი):

— ფიშერის მეტოქე კარპოვისა და სპასკის მატჩმა უნდა დაასახელოს. მე მცირე უპირატესობას ვანიჭებ კარპოვს, რომელიც მსოფლიო ჩემპიონისთვის უკვე სახიფათო მეტოქედ ითვლება.



გამოსვლის წინ (ლ. ბურდა).

ა. სააკოვის ფოტო.

# თითქმის ყველა...

**მოსკოვი**, 13 იანვარი. (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ცსკა-ს ჩოგბურთის სასახლეში დღეს თავი მოიყარა სპორტის ამ შესანიშნავი სახეობის უამრავმა მოყვარულმა — აქ დამთავრდა მოსკოვის ღია ჩემპიონატი, რომელშიც თითქმის ყველა საუკეთესო საბჭოთა ჩოგბურთელი მონაწილეობდა. სიტყვა „თითქმის" იმიტომ ვიხმარეთ, რომ თბილისელი ა. მეტრეველი სარბიელზე არ გამოსულა, ვინაიდან ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებშია საასპარეზოდ.

ბედმა უმტყუნა მეტრეველის თანაქალაქელსა და თანაგუნდელს — საბჭოთა ნაკრების წევრს თ. კაკულიას. მეოთხედფინალში მან ტალინელ ლეიუსს სძლია (6:1, 7:6), მაგრამ ნახევარფინალში გამოსვლაზე ტრავმის გამო უარი თქვა. ამიტომ კაკულიას მეტოქე ვოლკოვი (მოსკოვი) უბრძოლველად გავიდა ფინალში.

გუშინ გამართულ მეორე ნახევარფინალურ მატჩში ტალინელმა ლამპმა მოუგო მოსკოველ ივანოვს — 6:1, 7:6, 6:2.

გუშინვე გაიმართა წყვილთა ფინალური შეხვედრები.

ვაჟთა დუეტების გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ახმეროვი — ლიხაჩოვი (ორივე — ბაქო) და პუგაევი — კოლიასკინი (ორივე — მოსკოვი). ბრძოლა მძაფრი და საინტერესო იყო. გაიმარჯვეს ბაქოელებმა — 6:7, 7:5, 6:3, 7:6.

III ადგილი ხვდათ ვოლკოვს და ტარპიშჩევს (მოსკოვი).

სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ო. მოროზოვა (მოსკოვი), რომელიც შეჯიბრებიდან შეჯიბრებამდე ოსტატდება. ქალთა წყვილების ფინალში მოროზოვამ და ივანოვამ აჯობეს ბირიუკოვასა და კროშინას — 2:6, 6:1, 6:4.

III ადგილზე გავიდნენ გ. ბაკშეევა და მ. ჩუვირინა.

სამაგიეროდ, ბაკშეევამ პირველი პრიზი მოიგო შერეულ წყვილთა თანრიგში. აქ მან და ივანოვმა მოუგეს ივანოვასა და ბობოედოვს — 6:4, 7:6.

კაკულია ჩუვირინასთან ერთად გამოდიოდა. მეოთხედფინალში მათ დაამარცხეს ნოვაშინსკაია და სიტკოვი — 6:4, 6:1. ნახევარფინალში კაკულიამ ტრავმის გამო ვეღარ ითამაშა — ივანოვას და ბობოედოვს უშრომლად გაეხსნათ „მწვანე გზა" ფინალისკენ.

დღეს მოეწყო ერთეულთა თანრიგების ფინალური შეხვედრები. გადამწყვეტ მატჩში მოროზოვამ ანგარიშით 6:2, 6:3 სძლია ჩუვირინას.

III ადგილი დაიკავა ბაკშეევამ.

ვაჟთა შეხვედრა მეტისმეტად მოსაწყენი და უინტერესო გამოდგა. ვოლკოვი და ლამპი გადაჰყვნენ მონოტონურ თამაშს, სადაც უფრო ზუსტი აღმოჩნდა ვოლკოვი — 6:3, 6:4, 6:2.

დ. კაკაბაძე.

# მარინე სანაია და დანი მისნი

მკითხველს ალბათ ახსოვს, რომ ჩელიაბინსკში ფიგურისტ ქალთა შეჯიბრების პირველი ეტაპის შემდეგ (სამი სავალდებულო ვარჯიშის მერე) წინ იყვნენ ლენინგრადელები ა. კორნევა და ტ. ოლენინა, აგრეთვე, მოსკოველი ლ. ბაკონინა. შემდეგ მოხდა ის, რასაც ნაკლებად ელოდნენ: მოკლე და ნებისმიერი პროგრამების შესრულებაში ლიდერებმა ბევრი შეცდომა დაუშვეს, მათი „მდევრები" კი საუცხოოდ გამოვიდნენ და, ბუნებრივია, საბოლოოდ საპრიზო სამეულის განლაგება შეიცვალა.

განსაკუთრებით იმარჯვა მოსკოველმა მ. სანაიამ, რომელმაც ყველას აჯობა როგორც მოკლე, ისე ნებისმიერი პროგრამით შეჯიბრებაში. აღსანიშნავია, რომ იგი სავალდებულო ვარჯიშის შემდეგ VIII ადგილზე იყო, ხოლო მომდევნო ორ ვარჯიშში გამარჯვებით საერთო პირველობა მოიპოვა (164,31 ქულა. ადგილების ჯამი — 7). ამგვარად, მარინემ სსრ კავშირის თასი დაისაკუთრა. ქალთა ერთეულებიდან მ. სანაია ერთადერთი იყო, რომელმაც ამ გამარჯვებით ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების საგზური მოიპოვა.

გაგვახარა 14 წლის თბილისელმა მოსწავლემ მ. ცერცვაძემ. იგი შეჯიბრების ერთადერთი მონაწილე იყო, რომელმაც შეასრულა ნახტომი სამმაგი ბრუნით. ცერცვაძის ნებისმიერმა პროგრამამ საერთო მოწონება დაიმსახურა. აქ მან კარგი შეფასება (5,3-დან 5,6 ქულამდე) მიიღო და მეორე აღმოჩნდა. მაყურებლებს მოეწონათ მეორე თბილისელი მოსწავლის ლ. გაბელაიას გამოსვლაც. ორივე თბილისელ სპორტსმენს ახალგაზრდა მწვრთნელი ი. ჯაფარიძე ამეცადინებს.

სამჭიდში II ადგილი დაიკავა მოსკოველმა გ. ისტომინამ — 159,93 (ადგილების ჯამი — 18), III — ლენინგრადელმა ა. კორნევამ—158,68 (ადგილების ჯამი 25).

მაშ ასე, სსრ კავშირის თასის გათამაშება დამთავრდა. წინაა ევროპის ჩემპიონატი, რომელიც იუგოსლავიის ქალაქ ზაგრებში გაიმართება. ეს შეჯიბრება 29 იანვრიდან 3 თებერვლამდე გასტანს.

# მძლეოსნობის ახალი ამბები

**ვილნიუსი**, 14 იანვარი. ლიტველ დინამოელთა შეჯიბრებაში ევროპის ჩემპიონმა სიმაღლეზე ხტომაში კ. შაპკამ „ფოსბიურის" სტილით 223 სმ გადალახა. ეს შედეგი მხოლოდ 2 სანტიმეტრით ჩამოუვარდება დარბაზებში საკავშირო და მსოფლიო მიღწევებს.

**კაუნასი**, 14 იანვარი. „ჟალგირისის" მძლეოსანთა საქალაქო ჩემპიონატში უნივერსიადა—73-ის ვერცხლის პრიზიორმა მ. ტრეინიტემ სიგრძეზე ხტომაში 611 სმ დაძლია. ეს შედეგი ჯერჯერობით საუკეთესოა სსრ კავშირსა და ევროპაში.

**ინგლუდი**, 14 იანვარი. ამერიკის ამ ქალაქში გამართულ მძლეოსანთა ასპარეზობაში მსოფლიო რეკორდსმენმა სიმაღლეზე ხტომაში დ. სტოუნზმა გადალახა 219,5 სმ სიმაღლე. რ. უოლკატერმა 880 იარდი 1 წუთსა და 52,5 წამში დაფარა (800 მ — 1.51,7).

**კოლეჯ-პარკი**, 14 იანვარი. ამერიკელ მძლეოსანთა ასპარეზობაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა 110 მეტრზე თარჯრბენში რ. მილბორნმა გაიმეორა მსოფლიო მიღწევა დარბაზებისთვის, როცა 60 იარდი 6,8 წამში დაფარა.



მოსკოვში დაიწყო საკავშირო შეჯიბრება „ოქროს შაიბის" პრიზზე. თავდაპირველად ერთმანეთს ხვდებიან დედაქალაქის საბინაო-საექსპლოატაციო კონტორების ნორჩი სპორტსმენები.

სურათზე: ოქტომბრის რაიონის „სატურნისა" (№ 24 საბინაო-საექსპლოატაციო კონტორა) და „ფაკელის" (№ 18) შეხვედრის მომენტი. ანგარიშით 5:2 გაიმარჯვა „ფაკელმა".

ა. იაკოვლევის ფოტო (საკდესი).

## „ლელოს" გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

## თხოვნა დააკმაყოფილეს

ამას წინათ რედაქციამ მიიღო ქობულეთის რაიონის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირელთა ჯგუფის წერილი. გვწერდნენ, რომ ახალგაზრდებს არ გააჩნიათ სპორტული ინვენტარი და სათამაშო მოედნები. რედაქციამ წერილის შინაარსი გააცნო საქართველოს ალკკ ქობულეთის რაიკომს.

საქართველოს ალკკ ქობულეთის რაიკომმა რედაქციას აცნობა, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები შემოწმებით დადასტურდა. მიღებულია ზომები მდგომარეობის გამოსწორებისთვის. ქობულეთის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს წინაშე აღიძრა შუამდგომლობა, რომ პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობამ ახალგაზრდებს გამოუყოს ნაკვეთი საფეხბურთო მინდვრის მოსაწყობად. სოფლის მეურნეობის სამმართველომ ეს თხოვნა დააკმაყოფილა.

## რაიონებში სპორტსმენები

**ზესტაფონი**

სალიანდაგო დისტანციის 45 რკინიგზელი სპორტსმენი ორგანიზებულად აბარებს მშდ კომპლექსის ნორმატივებს. მათგან 25-მა უკვე რამდენიმე სახეობაში მიაღწია მიზანს.

ა. განუგრავა.

**ყვარელი**

აქ ორ თვეს გაგრძელდა მოსწავლეთა რაიონული პირველობა ფეხბურთში. სარბიელზე გამოვიდნენ საშუალო სკოლების წარმომადგენლები. დაუმარცხებლად განვლეს ტურნირი ყვარლის მე-2 საშუალო სკოლის ფეხბურთელებმა (ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი ვ. სუმბაძე) და პირველობაც მათ ხვდათ. II ადგილზე გავიდა შილდის 1-ლი სკოლა. III ადგილი საბუელებმა დაიკავეს.

რ. მეტრეველი,
ბავშვთა სპორტსკოლის მწვრთნელი ფეხბურთში.

**ცაგერი**

ახლახან აქ გაიმართა რაიონის პირად-გუნდური პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. გუნდურ ასპარეზობაში ყველას აჯობა განათლების განყოფილების ბავშვთა სპორტსკოლის ნაკრებმა. ვაჟთა შორის პირადი პირველობა მოიპოვა სპარტაკელმა დ. ლუკაშენკოვმა. ქალთა შორის უძლიერესი იყო ასევე სპარტაკელი სპორტსმენი ნ. ბენდელიანი.

გ. ხვადაგიანი,
რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვლადიმერ ბარქაია: „ფეხბურთი ჭკვიანური თამაშია"

ეს იყო ჩემი საფეხბურთო „ოდისეის" ერთ-ერთი ყველაზე დრამატული მომენტი. გაივლის დრო და იგივე გრძნობა, საოცარი გაწბილების გრძნობა დამეუფლება 1960 წელს, მოსკოვში, ლუჟნიკის დათოვლილ სტადიონზე, სადაც თბილისის „დინამო" წააგებს მოგებულ თამაშს თასზე.

რადგან ეს მატჩი გავიხსენე, ისიც უნდა ვთქვა, რომ ფეხბურთელი, რაოდენ ბევრიც უნდა ენახოს და განეცადოს, ვერასოდეს შეიძენს ეგრეთ წოდებულ პროფესიულ იმუნიტეტს დრამატული მარცხის მიმართ. არ ვიცი, ბკლებს თუ არა ასეთი წაგება სპორტსმენს სიცოცხლის დღეებს, მაგრამ სულიერად საშინლად რომ ფიტავს, ეს კი აშკარაა. „ტორპედოსთან" თამაშის შემდეგ გუნდის ყველა წევრი ვტიროდით, თუმცა სენტიმენტალური არც ერთი არ ვიყავით. დიდხანს, დიდხანს ემახსოვრება ეს მატჩი „დინამოს" ყველა მოთამაშეს და დარწმუნებული ვარ, ათასობით გულშემატკივარსაც. ასეთი მატჩები ქმნიან არა მარტო ჭეშმარიტ საფეხბურთო ისტორიას, არამედ გრძნობათა, განცდათა და ნერვების არნახულ ჭიდილსაც.

დიახ, ფეხბურთს უყვარს დრამა, ურთულესი კოლიზიები, თუმცა ისინი ერთობ ძვირად გვიჯდება ჩვენ, ფეხბურთელებს. ერთხელ დიდებულ მომღერალს ლუი არმსტრონგს უთქვამს: „გესალმები, დოლი" ალბათ მილიონჯერ მაქვს ნამღერი, მაგრამ რადგან ეს სიმღერა ძალიან მოსწონთ მსმენელებს, მე კიდევ უთვალავჯერ ვიმღერებ მათთვის, ვიდრე არ მობეზრდებათო. ფეხბურთელმა ნებაყოფლობით იტვირთა მძიმე, მაგრამ საპატიო მისია, რომ კმაყოფილება და სიამოვნება მოუტანოს მილიონებს, არ შეიძლება ყველა მატჩის ერთნაირად თამაში, მაგრამ სურვილი ამისა, როგორც ვთქვათ, ხელოვანს, ფეხბურთელს არასოდეს უნდა გაუქრეს. მხოლოდ ეს აქცევს სპორტსმენს ნამდვილ ფეხბურთელად.

სწორედ ასეთი ფეხბურთი, ნამდვილი ფეხბურთი დავარქვათ მას, ვნახე პირველად 1945 წელს. ეს იყო „რკინის გუნდი" — მოსკოვის „დინამო", რომელიც ის-ის იყო ჩამოვიდა ინგლისიდან და ლეგენდარული ტურნეს შემდეგ საყოველთაო აღტაცებას იწვევდა. მე მაშინ რვა წლისა ვიყავი, მაგრამ საოცარი ძალით შევიგრძენი საფეხბურთო დიდოსტატების თამაშის ხელოვნება ალბათ იმიტომაც, რომ თითქმის აკვნიდანვე ვიცოდი ფეხბურთის ყადრი. და აი, ჩემდა საბედნიეროდ, ინგლისის შემდეგ მოსკოველები გაგრაში ჩამოვიდნენ სავარჯიშოდ. მაშინ „დინამოს" მწვრთნელი მიხეილ იაკუშინი იყო (მომავალში მე კვლავ შევხვდი ამ მეტისმეტად ძლიერ, გონებამახვილ, პრინციპულ და ნიჭიერ მწვრთნელს, რომელიც ისევე გრძნობდა საფეხბურთო კოლექტივის თითოეული წევრის თამაშის უმნიშვნელო ნიუანსებსაც კი, როგორც გამოჩენილი დირიჟორი — ანსამბლის მუსიკოსების ყოველ შერხევას).

გაგრძელება. იხ. „ლელო" № 9.

მახსოვს, მოსკოველები გაგრის სტადიონზე სავარჯიშოდ მოვიდნენ, მინდორზე გაიხადეს ტანსაცმელი და სპორტული ფორმით შეიმოსნენ. ჩვენს საყვარელ სტადიონს, რომელიც ყველაზე კარგი გვეგონა დედამიწის ზურგზე, ჩვეულებრივი გასახდელიც კი არ ჰქონდა. აღტაცებაში მომიყვანა მაშინ ტროფიმოვის ფინტებმა. ეს იყო ტანმორჩილი, ჩაფსკვნილი გარემარბი, რომელიც იოლად ატყუებდა მეტოქეებს, თითქმის პირით ხაზამდე ჩადიოდა ბურთიანად და მერე ძალიან ლამაზად, ჭკვიანურად ურტყამდა საჯარიმო მოედნისკენ. ასევე განუმეორებელ ფეხბურთელებად წარმომიდგნენ ბესკოვი ბურთის ჩინებული ფლობით, უაღრესად გაზრებული გადაცემებით, აგრეთვე, ხომიჩი, ბლინკოვი, კარცევი, სოლოვიოვი და სხვები.

ჩვენთვის ეს იყო უნივერსიტეტი ღია ცისქვეშ, სადაც საბჭოთა ფეხბურთის ბრწყინვალე წარმომადგენლები კითხულობდნენ ლექციებს თემაზე, თუ რას წარმოადგენს ნამდვილი ფეხბურთი. ეს შეხედულება მხოლოდ 1945 წლის შთაბეჭდილებით არ შემიმუშავებია, ლამის 1956 წლამდე, ესე იგი, იმ დრომდე, სანამ თბილისის „დინამოში" მიმიწვევდნენ, მე ყოველწლიურად საფეხბურთო სეზონის დასაწყისში ბევრ რამეს ვსწავლობდი მოსკოველებისგან.

1956 წელს დიდი გამოცდა მელოდა: ძირფესვიანად უნდა შემეცვალა ჩემი ცხოვრების გზა, თითქმის მთელი საქართველო გადამევლო და ზღვისპირა გაგრიდან მტკვრისპირა თბილისში გადავსულიყავი საცხოვრებლად. მე მაფიქრებდა უცხო ქალაქი, ცხოვრების დიამეტრულად განსხვავებული რიტმი, უცნობი ატმოსფერო, არანაკლებ უცნობი გუნდი, რომლის წევრებსაც ძუნწი ინფორმაციის მიხედვით ვეთაყვანებოდი.

მაინც, როგორ მოვხვდი „დინამოში"? ამას წინ უძღოდა პატარა „ისტორია". 1956 წელს გაგრელები ზუგდიდის გუნდთან ვთამაშობდით. ეს იყო ჩვენი ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი, სადაც ყველაფერი გამოგვდიოდა და დამაჯერებელი ანგარიშითაც მოვიგეთ — 4:0. თამაშს ესწრებოდა სახელმწიფო მწვრთნელი დავით ცომაია. მას განზრახული ჰქონდა წაეყვანე ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლაში, რომლის გუნდიც საკავშირო პირველობაში უნდა გამოსულიყო. გუნდმა ლენინგრადში ძლიერად ითამაშა, ლიდერებმა — უკრაინისა და საქართველოს ფეხბურთელებმა თანაბარი ქულები დააგროვეს. შემდეგ დამატებითს მატჩში, მოსკოვის „ლოკომოტივის" სტადიონზე, მეტოქის დამარცხება შევძელით და პირველობაც ჩვენ გვერგო.

მოსკოვიდან პირდაპირ კადიევკაში გამგზავნეს, სადაც თბილისის „დინამოს" სათადარიგო შემადგენლობა იყო. მერე გაგრაში დავბრუნდი. მაშინ მეთერთმეტე კლასში ვსწავლობდი.

შესარჩევი თამაშისთვის ახალგაზრდები იმავე წლის ნოემბერში თბილისში მიგვიწვიეს „დინამოსთვის" გასასინჯად.

გულით მინდოდა მეთამაშა თბილისელთა სახელგანთქმულ გუნდში. რომელი ჭაბუკი ფეხბურთელი არ ოცნებობს ასეთ დიდ პატივზე? „დინამოს" მაშინდელმა მწვრთნელმა გაიოზ ჯეჯელავამ ნდობა გამომიცხადა და მცირეოდენი ხნის შემდეგ პირველად ჩამაცვა დინამოელთა მაისური. საკუთარ თავს არ ვუჯერებდი — „დინამოს" ძირითად შემადგენლობაში ვთამაშობდი! მართალია, სეზონი კარგა ხნის დამთავრებული გახლდათ, მოსკოვის „ტორპედოსთან" თამაშიც ამხანაგური იყო, მაგრამ „დინამო" „დინამოა"...

თავს არ შევაწყენთ ჩემი იმდროინდელი ემოციებით, ერთი დეტალი კი ნამდვილად მინდა გავიხსენო. მინდორზე გამოვედი თუ არა, უცნაური გრძნობა დამეუფლა. თანახმა ვიყავი ბურთს არასოდეს გავკარებოდი, ოღონდ გულშემატკივართა თვალწინ ჩემს სათაყვანებელ გუნდში... არ მეთამაშა. საშინლად დამორცხვებული და ნირწამხდარი მექანიკურად შევბრუნდი და გასახდელისკენ მივიპარებოდი. წამომეწია ვოვა მარღანია, ერთი შემომხედა, ეტყობა, მიმიხვდა განზრახვას, მკლავში ღონივრად ჩამავლო ხელი და მინდვრისკენ მიმაბრუნა.

ჩემი პარტნიორები იყვნენ (მე-10 ნომრად მათამაშეს) ანდრო ზაზროევი და ავთანდილ ჭკუასელი! თითქოს სიზმარში ვიყავი, არც მოთამაშეები, არც ტრიბუნები რეალურად არსებული არ მეგონა. ყველაფერს ნისლის ისეთივე მსუბუქი ფარდა ჰქონდა გადაფარებული, როგორიც ზღვას აქვს ხოლმე გვიანი შემოდგომის მოღუშულ დღეს. საბედნიეროდ, საუცხოო პარტნიორობა გამიწიეს ჩემმა უფროსმა ამხანაგებმა, პირდაპირ ფეხი ამადგმევინეს და ნამდვილი თამაში მასწავლეს. პირველივე ტაიმში ზაზროევთან გავითამაშე კომბინაცია და მოულოდნელად ბურთიც გავიტანე. ჩემს სიხარულს, რომელსაც თან ერთვოდა გაოცება, საზღვარი არ ჰქონდა!

თითქოს ერთი უმკაცრესი გამოცდა საკმარისი არ იყო. რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ ჩავიცვი დინამოელის მაისური და ჩემს სიცოცხლეში პირველ საერთაშორისო მატჩში ვითამაშე ირანელთა წინააღმდეგ.

ღმერთმანი, ყველაფერი ისე ხდებოდა, როგორც ზღაპარში. ახალი სეზონის წინ „დინამოს" ვახლდი ბირმაში. ახლა უფრო იმედიანად და მხნედ ვგრძნობდი თავს: ჩემთან ერთად გუნდში იყვნენ ჩემი ტოლები მიშა მესხი, გივი ჩოხელი, შოთა სიჭინავა.

გუნდში ახალმოსულს დიდი მეგობრობა გამიწიეს ავთანდილ ღოღობერიძემ, ანდრო ზაზროევმა, ვლადიმერ მარღანიამ, მიშა პირაევმა, ავთანდილ ჭკუასელმა და სხვებმა. ისინი ჩემი უფროსი მეგობრები იყვნენ, საოცრად გულთბილი, გულისხმიერი და გამგები ადამიანები. ჩემს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა. ვთამაშობდი ჩემს სათაყვანებელ ფეხბურთელებთან, მათთან ერთად ვვარჯიშობდი, დავდიოდი, მათთან ერთად ვჯდებოდი მაგიდასთან... ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ჩემოდენა ბიჭს საამაყოდ ისიც ეყოფოდა, რომ მეგობრობას უნაწილებდა მისივე იდეალი, მისთვის ყველა ფეხბურთელზე უკეთესი ფეხბურთელი ავთანდილ ღოღობერიძე. ამ ადამიანთან ურთიერთობამ მრავალმხრივ განსაზღვრა ჩემი საფეხბურთო ბედ-იღბალი. მის შემყურეს მე, უბრალოდ, უფლება არ მქონდა მეთამაშა ნახევარი ძალით, პირადი განწყობილების მიხედვით. ის იყო დიდი მამობილიზებელი ძალა მინდორზე. ბასა თავისი ხანგრძლივი საფეხბურთო კარიერის მანძილზე რამდენიმე თაობას მოესწრო. ის ყველა თაობისთვის იყო საჭირო. იგი მოესწრო ქართული ფეხბურთის დიდებასაც და ერთგვარ კრიზისსაც. მან ერთიც ნახა და მეორეც, მაგრამ ოპტიმიზმი არასოდეს განელებია. მე მინდა დაუსრულებლად ვილაპარაკო მასზე, მაგრამ განგებ არ ვაკონკრეტებ ბასას თამაშის დეტალებსა და ფაქტებს. ვისაც ბასას თამაში უნახავს, ვისაც ფეხბურთი ესმის და უყვარს, მას არაფრის შეხსენება არ სჭირდება. ბასა არავის დაავიწყდება, ვიდრე იარსებებს ქართული ფეხბურთი.

... 1956 წელი, უფრო სწორად, მისი მიწურული, საცდელი პერიოდი აღმოჩნდა. მოწაფეობის ხანა ჯერ კიდევ არ გამევლო. ამიტომ არც გამკვირვებია და არც მწყენია, როცა გუნდის ხელმძღვანელობამ ახალ სეზონში სათადარიგო შემადგენლობაში ჩამრიცხა. ეს მოსაზრება სწორი გამოდგა. მე გავიარე ეგრეთ წოდებული საფეხბურთო „აკლიმატიზაცია" და კიდევ უფრო შევესისხლხორცე „დინამოს" რთულ ორგანიზმს. 1957 წლის სეზონი ჩემთვის მთლიანად „დაკარგული" არ გამოდგა. ცხრაჯერ ჩავიცვი ძირითადი გუნდის მოთამაშის მაისური. ჩემი საფეხბურთო „განათლება" ნორმალურად მიმდინარეობდა.

რადგან საფეხბურთო განათლებაზე ჩამოვარდა სიტყვა, არ შემიძლია მოკლედ მაინც სათანადო არ მივუზღა თბილისის „დინამოს" მწვრთნელებს, რომელთა სახელებთანაც დაკავშირებულია ჩვენი გუნდის თვალსაჩინო მიღწევები.

უპირველეს ყოვლისა, მინდა შევჩერდე ქართული ფეხბურთის, ასე ვთქვათ, ფიქრთამპყრობელ ანდრო ჟორდანიაზე. მე მას ჯერ კიდევ თბილისის „დინამოში" მისვლამდე ვიცნობდი. გახსოვთ ის წელი, როცა საქართველოს ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლის გუნდმა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა? იმ გუნდის მწვრთნელი ანდრო ჟორდანია გახლდათ. ეს ადამიანი უმალვე იქცევდა ყურადღებას თავისი მრავალმხრივი განათლებით. რაც შეეხება საფეხბურთო ერუდიციას, ამ მხრივ იგი, დარწმუნებული ვარ, უმაღლესი სტანდარტების დონეზე დგას. იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს ფეხბურთში მისთვის არავითარი საიდუმლო არ არსებობდა. ეს მართლაც ასე იყო, რაშიც დამარწმუნა ჩვენმა ერთობლივმა საფეხბურთო საქმიანობამ. ეს მწვრთნელი თითქოს იმისთვის არსებობდა, რათა ქართულ გუნდებს სწორედ უმძაფრესი კრიზისის პერიოდებში დახმარებოდა, გვერდში ამოსდგომოდა და მათთვის წინანდელი რეპუტაცია აღედგინა. ეს ფეხბურთის მოყვარულებმა მშვენივრად იციან. დიდი იყო ჩვენი სიხარული, როცა „დინამოს" საჭე 1959 წელს ამ თვალსაჩინო ქართველ მწვრთნელს ჩააბარეს. „დინამო" ამ დროს საფეხბურთო ციებცხელებით იყო შეპყრობილი. იგი „ავად" იყო და მზრუნველი, გულისხმიერი მკურნალი ესაჭიროებოდა.

მოკლე ხანში ანდრო ჟორდანიამ რკინის ხელით წელში გამართა გუნდი, შეადუღაბა იგი და ბრძოლისუნარიან კოლექტივად აქცია. ეს იყო ურთულესი პროცესი, რომელსაც მწვრთნელი ჭეშმარიტად დიდოსტატურად წარმართავდა. და აი, შედეგიც: კოლექტივი, რომელსაც წინა წელიწადს ერთობ სახიფათო მეზობლობა ჰქონდა აუტსაიდერებთან, 1959 წელს ბრინჯაოს პრიზიორი გახდა, თანაც მისი თამაშის ხარისხმა საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. ჟორდანიამ, როგორც მოხდენილად თქვა ერთმა ნაცნობმა ფეხბურთის მოყვარულმა, ბოთლიდან ამოიყვანა ჯინი. ჟორდანიასეულ მეთოდებსა და „რეცეპტებზე" საუბარი შორს წაგვიყვანდა, თანაც, ლაპარაკი უაღრესად პროფესიულ სფეროში გადაინაცვლებდა. მე მინდა მხოლოდ რამდენიმე შტრიხით გადმოგცეთ მწვრთნელის ჩემს მიერ აღქმული ზოგადი პორტრეტი.

სიტყვაძუნწი, უაღრესად ემოციური, სულგრძელი და დიდსულოვანი, მოჩვენებითი სიმკაცრისა და უხეშობის მიუხედავადაც კი, რომანტიკოსი (ასეთ რომანტიკოსებს „უიმედოსაც" აყოლებენ ხოლმე ეპითეტად), საფეხბურთო დოგმატიზმის დიდი მოძულე, ადამიანის ფსიქოლოგიის ჩინებული მცოდნე, საფეხბურთო ტალანტების უებრო „დეგუსტატორი".

ანდრო ჟორდანიას ჰქონდა ერთი საყვარელი გამოთქმა, რასაც ხშირად იმეორებდა: ვინც პასი გამოიგონა, ძეგლი უნდა დავუდგათო. ამ სიტყვებში იგი ღრმა შინაარსს სდებდა და სულაც არ ამბობდა პირდაპირი მნიშვნელობით. ჟორდანიამ სხვაზე უკეთ იცოდა ქართველი ფეხბურთელის ბუნება, რა თქმა უნდა, ისიც, რომ ჩვენი სპორტსმენები მეტად უხალისოდ ელევიან ბურთს, რასაც კოლექტიური, კომბინაციური თამაშისთვის მოაქვს ზიანი. ამავე დროს, როგორც უკვე გითხარით, იგი ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი, „გაყინული" სქემების მოწინააღმდეგე იყო. ფეხბურთელი მის ხელში ლაღად და ძალდაუტანებლად გრძნობდა თავს, თუმცა ერთ საერთო გეგმას ემორჩილებოდა. ეს იყო კოლექტიური თამაში ჯანსაღი იმპროვიზაციით.

ის სიტყვაძუნწი იყო, ცოტას ლაპარაკობდა, მაგრამ სახის გამომეტყველება წამდაუწუმ ეცვლებოდა და ჩვენ ხშირად უსიტყვოდაც კარგად გვესმოდა მისი აზრები. არასოდეს დამავიწყდება ჟორდანიას სახე ტალინში გამართული მატჩის დროს. ჩვენსა და მოწინააღმდეგეს შორის იმდენად დიდი განსხვავება იყო ოსტატობის მხრივ, რომ თამაშის შედეგი ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ დამთავრდა პირველი ტაიმი და ანგარიში იყო 2:1 ესტონელების სასარგებლოდ. შესვენების დროს გასახდელში შემოვიდა ჟორდანია. ენა ვერ აღწერს გაოცებისა და სასოწარკვეთილების გრძნობას, რომელიც მას სახეზე ჰქონდა აღბეჭდილი. „თქვენ არ იცით, რა სუსტ გუნდთან აგებთ, თქვენ, უბრალოდ, წაგების უფლება არა გაქვთ..."

ეს იყო ნათქვამი წყნარად, მაგრამ ისეთი ძალით და იმნაირი გამომეტყველებით, რომ სირცხვილით დავიწვით. ჩვენ მოვიგეთ საბოლოოდ მატჩი, მაგრამ მწვრთნელი თამაშის შემდეგაც არ დამშვიდებულა. დიახ, ჟორდანია მეტისმეტად [illegible] იყო და ეს კიდევ ერთხელ უსვამდა ხაზს მის ხალას ადამიანურ ბუნებას.

რაც შეეხება ჟორდანია-სელექციონერის ნიჭს, ეს ყველას კარგად მოეხსენება. იგი გამუდმებით ფიქრობდა თავისი ოცნების გუნდზე, თავისებურ იდეალზე, რომლის შექმნაც მისი საფეხბურთო მოღვაწეობის დედააზრს შეადგენდა. ზოგჯერ ჟორდანიას გუნდი ალბათ ნაწილობრივ უახლოვდებოდა იდეალს, მაგრამ დაკმაყოფილდა თუ არა მისი ჯანსაღი პატივმოყვარეობა, არავინ იცის. სამაგიეროდ, ჟორდანიას დახვეწილ საფეხბურთო გემოვნებაზე თავისთავად მეტყველებს თუნდაც ის, რომ მან ქართული ფეხბურთი გაამდიდრა ჩინებული შემსრულებლებით. მახსოვს, როგორ მოიყვანა ჟორდანიამ გუნდში დიდი საფეხბურთო ნიჭით დაჯილდოებული ჭაბუკები მურთაზ ხურცილავა და გიორგი სიჭინავა, რომლებმაც მთელს მსოფლიოს გააცნეს თავი.

საინტერესო მწვრთნელი იყო მიხეილ იაკუშინი. რა თქმა უნდა, იგი ფეხბურთის უდიდესი ცოდნით გამოირჩეოდა. თავგამოდებით იცავდა რკინისებურ დისციპლინას, გუნდის ნებისმიერი თამაში მისი ხელმძღვანელობით მკაცრ ლოგიკურ ნახაზს ემორჩილებოდა. იაკუშინს უყვარდა ნათელი სქემები, მისთვის არავითარი საფეხბურთო ავტორიტეტები არ არსებობდა. იგი ერთნაირად მომთხოვნი იყო როგორც ცნობილი, ისე ახალბედა ფეხბურთელების მიმართ. ფიზიკურ მომზადებას უდიდეს ყურადღებას აქცევდა. სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზის გამო, მას ერთგვარად უჭირდა ახლო კონტაქტის დამყარება გუნდის ცალკეულ წევრებთან. იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს ამ უნიჭიერესმა მწვრთნელმა ბოლომდე ვერ გაიგო, ვერ ჩასწვდა ქართული ფეხბურთის თავისებურ ბუნებას, მის მრავალფეროვან ნიუანსებს. ასე იყო თუ ისე, ორმა დიდმა მწვრთნელმა — ჟორდანიამ და იაკუშინმა „დინამოს" მაშინდელი თაობა საჩემპიონოდ მოამზადეს. ახლა გუნდის ხელმძღვანელად უნდა მოსულიყო სპეციალისტი, რომელიც ამ მიზანს რეალობად აქცევდა. ეს მისია დაეკისრა გავრიილ კაჩალინს, განთქმულს თავისი თეორიული ერუდიციით, ადამიანის ფსიქოლოგიის კარგი ცოდნით, ინტელიგენტური ბუნებით...

კაჩალინი არ მალავდა თავის უდიდეს სიმპათიებს ფეხბურთის სამხრეთული სკოლისადმი, კერძოდ, ბრაზილიური ფეხბურთისადმი, რომელიც თავისებურ იდეალად ესახებოდა. როცა იგი თბილისის „დინამოში" მოვიდა, აღმოჩნდა, რომ ჩაიბარა „თავისი", ესე იგი სამხრეთული მანერის გუნდი. კაჩალინი იმპროვიზაციის მომხრე იყო. მახვილგონივრულად, ოსტატურად ჩატარებული ცრუ მოძრაობა, ფინტი თუ ტექნიკური ილეთი უსაზღვრო კმაყოფილებას ანიჭებდა. იგი მაღალტექნიკური ფეხბურთის მომხრე იყო. კაჩალინის ხელში „დინამომ" მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონობა და ამით, ვფიქრობ, ყველაფერია ნათქვამი.

„დინამო"-1964! წარმატება შემთხვევით არ მოსულა. იგი აღმოცენებული იყო ქართული ფეხბურთის მრავალწლიან მდიდარ ტრადიციებზე. დიდი გამარჯვება იქმნებოდა მრავალი თაობის ღვაწლით, მეცადინეობითა და რუდუნებით. ფეხბურთელთა საშუალო ასაკმა მიაღწია იმ ბედნიერ ხანას, როცა მაქსიმალურად იფურჩქნებოდა სპორტსმენის ნიჭი. გუნდი საუცხოოდ იყო მომზადებული ტაქტიკურად, ტექნიკურად, ფიზიკურად..., თანაც, ყველას ახსოვს, რა ძლიერი შემადგენლობა ჰყავდა მაშინ „დინამოს". ჩვენ ვგრძნობდით სეზონის დამთავრებამდე კარგა ხნით ადრე, საჩემპიონო გუნდი რომ ვიყავით, საამისოდ ყველა პირობა არსებობდა და არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაგვეშვა ხელიდან დიდი შანსი. გადავწყვიტეთ შევლეოდით ყოველგვარ „ამქვეყნიურ" სიამოვნებას, მხოლოდ ფეხბურთით გვეცხოვრა და ისე გვევარჯიშა, როგორც არასოდეს. ჩვენზე ვერც იმან იმოქმედა, რომ მოულოდნელად გამოგვიცვალეს მწვრთნელი. ბედმაც გაგვიღიმა: კალენდარი ისე იყო შედგენილი, რომ თამაშების უმრავლესობას სეზონის ბოლოს შინ ვატარებდით. თანაც „ტორპედომაც" წაა[illegible] ფორხილა და საფეხბურთო ფემიდასთან ისე მივედით, რომ, როგორც იტყვიან, „ბარიბარში" ვიყავით.

ა. გოგელია.

(დასასრული იქნება)

## დინამოელები შეუდგნენ წვრთნას

13 იანვარს „დინამოს" საწვრთნელ ბაზაზე დიღომში გაიმართა თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის საერთო კრება. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ფ. მახარაძემ ილაპარაკა იმ ამოცანებზე, რომლებიც დინამოელთა წინაშეა დასახული 1974 წელს და კოლექტივის წევრებს წარუდგინა ახალი უფროსი მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. ჩოხელი.

კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ სპორტსაზოგადოება „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი კ. კეთილაძე, უფროსი მწვრთნელი გ. ჩოხელი, გუნდის კაპიტანი, სპორტის დამსახურებული ოსტატი მ. ხურცილავა.

დღეს დინამოელები ბაკურიანს მიემგზავრებიან მოსამზადებელი პერიოდის პირველი ეტაპის ჩასატარებლად და იქ დაჰყოფენ 10 დღეს. საერთო ფიზმომზადების ჩასატარებლად კოლექტივში მიწვეულია ფიზკულტურის ინსტიტუ[illegible]

## სპორტ ამბები-74

● კიევი, 12 იანვარი. სსრ კავშირის ხუთგზის ჩემპიონებმა, ევროპის ჩემპიონთა თასის ოთხგზის მფლობელებმა, უკრაინის დედაქალაქის „სპარტაკის" ხელბურთელმა ქალებმა ახალი გათამაშების პირველი მეოთხედფინალური მატჩი ანგარიშით 19:6 მოუგეს შვეიცარიის „ლს ბრიულს". საპასუხო შეხვედრა 19 იანვარს გაიმართება შვეიცარიაში.

● ბრესი, 18 იანვარი. საფრანგეთის ამ ქალაქში გაიმართა ქვეყნის ღია ჩემპიონატი ბიატლონში. 20-კილომეტრიან რბოლაში ტოლი არ ჰყავდა ნოვოსიბირსკელ მსოფლიო ჩემპიონს ა. ტიხონოვს — 1:10,49,5. II ადგილიც საბჭოთა სპორტსმენს ხვდა წილად. ეს იყო მინსკელი არმიელი ი. კოლმაკოვი — 1:15,16,0.

● ვარშავა, 13 იანვარი. გაზეთ „პშეგლონდ სპორტოვის" გამოკითხვის შედეგად დადგინდა პოლონეთის 10 უძლიერესი სპორტსმენის სია, რომელსაც მეთაურობს ველომრბოლელი რ. შურკოვსკი.

● ლე ბრასიუ, 13 იანვარი. შვეიცარიის ამ ქალაქში მოწყობილ ორჭიდელთა ტრადიციულ შეჯიბრებაში პირველობდა გდრ-ის წარმომადგენელი ა. შეიბენზოფი — 428,13. მან მოიგო ტრამპლინიდან ხტომა და V ადგილი დაიკავა 15 კმ-ზე რბოლაში.

# ობიექტივში მსოფლიო

- უიმბლდონის ჩემპიონი — ტელევარსკვლავი
- შეინ გოულდის ახალი ჰობი
- ექიმებს არ დაუჯერა



უიმბლდონის ჩემპიონი ბილი-ჯინ კინგი ეკუთვნის მსოფლიოში ცნობილ სპორტსმენთა იმ მცირე რიცხვს, რომელთაც ყველაფერი ეხერხებათ. სულ ცოტა ხნის წინათ ბილი-ჯინ კინგმა დიდი სიმპათია დაიმსახურა ჩოგბურთის გაკვეთილით, რომელიც ჩაუტარა სენსაციისა და თავის გამოჩენის მოყვარულ ბობი რიგსს, ქალთა ჩოგბურთის რადიოდიქტორს. ახლა კი კინგი ლოს-ანჯელესის ტელეეკრანებზეც გამოჩნდა, როგორც ჟურნალის გამომცემელ ბობ გუჩიონეს პარტნიორი (იხ. სურათი) გადაცემაში „სონი და შერი".



ცნობილ ავსტრალიელ მოცურავეს შეინ გოულდს ახალი ჰობი გაუჩნდა — კინო-ფოტოგადაღებები. „ჩემი აზრით, ქალაქში ფოტოაპარატით ხელში სეირნობა შესანიშნავი დამაწყნარებელი საშუალებაა მნიშვნელოვანი შეჯიბრების წინ", — განაცხადა შეინმა. თავისი მომავალი სპორტში გოულდს მაინცდამაინც არ აწუხებს: „ვიცი, რომ ბელგრადის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობაზე უარის თქმით ბევრს გავუცრუე იმედი მაგრამ ახლა მთელი ყურადღება სწავლაზე მაქვს გადატანილი. სკოლის დამთავრების შემდეგ მინდა სპორტული ფსიქოლოგია შევისწავლო. სწავლასთან ერთად, ალბათ, დროდადრო ცურვისთვისაც გამოვნახავ დროს".

სულ ახლახან ცნობილი გახდა, რომ შეინ გოულდმა თავი დაანება სამოყვარულო სპორტს. გამოდის, რომ ახლა მას უფრო მეტი დრო ექნება ახალი ჰობისთვის.

ზოგჯერ ექიმიც შეიძლება შეცდეს. რვა წლის სტონდონელი (ავსტრალია) ბიჭი დეივიდ ტიუზი უეცრად ავად გახდა. დაწვრილებითი გამოკვლევის შემდეგ დადგინდა სამწუხარო დიაგნოზი — ფილტვებისა და ლიმფური კვანძების ავთვისებიანი სიმსივნე. სიმსივნე სასწრაფოდ ამოჰკვეთეს. შემდეგ ექიმებმა დეივიდის მშობლებს განუცხადეს: სირბილი, დაღლა და დაძაბულობა თქვენი ბიჭისთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენსო. მაგრამ დეივიდმა ისევ დაიწყო ფეხბურთის თამაში და საბოლოოდ თავისი სკოლის ნაკრები გუნდის მეკარეც გახდა. ახლა ბავშვი კაჟივითაა. ასე რომ, რეგულარულმა ვარჯიშმა მას სრულიადაც არ ავნო.



# X ჩემპიონატის კალენდარი

### I ჯგუფი

14 ივნისი, დას. ბერლინში: გფრ — ჩილი, ჰამბურგში: გდრ — ავსტრალია. 18 ივნისი, დას. ბერლინში: ჩილი — გდრ, ჰამბურგში: ავსტრალია — გფრ. 22 ივნისი, დას. ბერლინში: ავსტრალია — ჩილი, ჰამბურგში: გდრ — გფრ.

### II ჯგუფი

13 ივნისი, მაინის ფრანკფურტში: ბრაზილია — იუგოსლავია-ესპანეთს შორის გამარჯვებული. 14 ივნისი, დორტმუნდში: ზაირი — შოტლანდია. 18 ივნისი, გელზენკირჰენში: იუგოსლავია-ესპანეთს შორის გამარჯვებული — ზაირი, მაინის ფრანკფურტში: შოტლანდია — ბრაზილია. 22 ივნისი, გელზენკირჰენში: ზაირი — ბრაზილია, მაინის ფრანკფურტში: შოტლანდია — იუგოსლავია-ესპანეთს შორის გამარჯვებული.

### III ჯგუფი

15 ივნისი, დიუსელდორფში: შვეცია — ბულგარეთი, ჰანოვერში: ურუგვაი — ჰოლანდია. 19 ივნისი, დორტმუნდში: ჰოლანდია — შვეცია, ჰანოვერში: ბულგარეთი — ურუგვაი. 23 ივნისი, დორტმუნდში: ბულგარეთი — ჰოლანდია, დიუსელდორფში: შვეცია — ურუგვაი.

### IV ჯგუფი

15 ივნისი, მიუნჰენში: იტალია — ჰაიტი, შტუტგარტში: პოლონეთი — არგენტინა. 19 ივნისი, მიუნჰენში: ჰაიტი — პოლონეთი, შტუტგარტში: არგენტინა — იტალია. 23 ივნისი, მიუნჰენში: არგენტინა — ჰაიტი, შტუტგარტში: პოლონეთი — იტალია.

# სპეციალისტთა აზრით

საზღვარგარეთის სპორტული პრესა განაგრძობს მსოფლიოს ჩემპიონატის კენჭისყრის შედეგების კომენტარს.

უეფა-ს პრეზიდენტი, დოქტორი **ა. ფრანკი** (იტალია): „არც ერთ ჯგუფში არაა თამაში იოლი, მაგრამ ყველაზე მძიმე მაინც მესამე ჯგუფია".

გფრ-ის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **გ. შნაიდერი**: „პირველ ჯგუფში ფავორიტად გფრ-ის ნაკრები უნდა მივიჩნიოთ".

გდრ-ის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ჰ. რიდელი**: „ჩვენ ახალბედები ვართ, ვინაიდან მსოფლიოს ადრინდელ 5 ჩემპიონიდან 4 (ინგლისის გამოკლებით) ბრძოლაში ებმება".

**ფ. ბეკენბაუერი** (გფრ-ის ნაკრების წევრი): „გდრ-ის ნაკრებთან თამაში ძნელი საქმეა" (ეს ბეკენბაუერმა დრეზდენის „დინამოსთან" შეძენილი გამოცდილების შემდეგ თქვა).

**ვ. ლიუბანსკი** (პოლონეთის ნაკრების წევრი): „იტალია, არგენტინა... პირველი შიშის შემდეგ ჩუმი იმედი გამიჩნდა. ეს გუნდები თამაშის სტილით ჩვენ გვგვანან".

ფიფა-ს მწვრთნელი **დ. კრამერი** (ავსტრალიელთა შესახებ): „მე საკმაოდ კარგად ვიცნობ ამ გუნდს. ვინც ფიქრობს, რომ იგი სუსტია, აშკარად ცდება".

ბულგარეთის ნაკრების მწვრთნელი **ხ. მლადენოვი**: „ჩვენ ჯგუფზე უფრო ძლიერის წარმოდგენაც კი შეუძლებელია. რა გაეწყობა..."

გდრ-ის ნაკრების მწვრთნელი **გ. ბუშნერი**. „მე არ გამოვუდგები იმაზე ლაპარაკს, რომელი ჯგუფი უფრო ძლიერია და რომელი სუსტი. უფრო სწორია თუ ვიტყვით, რომ მსოფლიო ჩემპიონატში სუსტი გუნდები საერთოდ არ არიან. ნუ გავიწყდებათ, რომ ინგლისელები, პორტუგალიელები, ბელგიელები და მექსიკელები საერთოდ ვერ მოხვდნენ ფინალში".

# ძალებს ამოწმებენ, ნაკლის გამოსწორებისთვის ზრუნავენ

ყოველ დღეს მსოფლიოს თეთრი ბილიკებიდან ახალ-ახალი ცნობები მოაქვს, იმის შესახებ, თუ სად როგორ ემზადებიან სათხილამურო სპორტში ფალუნის მსოფლიო ჩემპიონატისთვის. ბოლო წლებში საგრძნობლად დაწინაურდნენ ერთ დროს სპორტის ამ სახეობაში ჩამორჩენილი ქვეყნები და ახლა ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა შვეციის ამ ქალაქის თოვლიანი ტრასებიდან შინ შერცხვენილი არ დაბრუნდნენ.

მაგრამ მომავალი ასპარეზობისთვის მზადება განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა ფავორიტ ქვეყნებში და უძლიერესი სპორტსმენები გადამწყვეტ სტარტამდე უკვე ერთი თვით ადრე საგრძნობლად მიუახლოვდნენ საუკეთესო სპორტულ ფორმას.

საბჭოთა კავშირში, გდრ-ში, გფრ-ში, ფინეთში, ნორვეგიაში და, რა თქმა უნდა, მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელ ქვეყანაში — შვეციაში უკვე რამდენიმე „საშინაო" და საერთაშორისო შეჯიბრება ჩატარდა. საუკეთესო „მფრინავი მოთხილამურეები", რომელთა დავაშიც უნდა გადაწყდეს მსოფლიო ჩემპიონატის მედლების ბედი, „ოთხი ტრამპლინის ტურნირში" გამოვიდნენ, ძალთა ამ გენერალურ შემოწმებაში ყველას გდრ-ისა და შვეიცარიის სპორტსმენებმა აჯობეს, მაგრამ იარაღის დაყრას არც პოლონეთის, საბჭოთა კავშირისა და სხვა იმ ქვეყნების ტრამპლინიდან მხტომელები აპირებენ, რომლებსაც ამ სახეობაში კარგი ტრადიციები აქვთ.

სხვა სახეობებში ყველა ქვეყანაში ჯერჯერობით საშინაო ტურნირების ჩატარებას ამჯობინებენ. მაგალითად, საბჭოთა კავშირის ორჭიდელები, ქვეყნის ნაკრების კანდიდატები ამ დღეებში ერთმანეთს კავგოლოვოში შეეჯიბრნენ. სტარტზე 68 კაცი გამოვიდა. ა. პლიუსნიხი (კიროვი) ერთ ცდაზე ყველაზე შორს (74 მეტრზე) გადახტა, მაგრამ მაინც III ადგილს დასჯერდა. ხტომებში ა. ჰაიგონენმა (ლენინგრადი) გაიმარჯვა (214,4 ქულა, ნახტომები 72,5 და 71,5 მ). 15 კილომეტრზე რბოლაში მას (54.57,0) ლენინგრადის ოლქის წარმომადგენელმა ვ. ლაუკონენმაც აჯობა (54 17,0) და ლენინგრადელმა მ. ხრიპოვმაც (54.50,0), მაგრამ ორჭიდის ჯამში პირველობა მაინც ჰაიგონენს (428,4 ქულა) დარჩა.

მორბენლები მოსკოვსა და კიროვში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. მოსკოვში პლანიორნაიას მიდამოებში გაიმართა შეჯიბრება საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქის პრიზზე. აქ როგორც 15, ისე 20 კილომეტრზე რბოლაში ყველას აჯობა ნაკრების კანდიდატმა, დინამოელმა ფ. სიმაშოვმა. პირველი დისტანციის გარბენას მან 48 წუთი და 17 წამი მოანდომა და თანაგუნდელ ვ. ლუკიანოვს 19 წამით აჯობა. 20 კილომეტრზე სიმაშოვმა საათი და 22 წამი დახარჯა. მეორე ამჯერადაც მისი თანაგუნდელი ა. მედვედევი იყო — 1.02.29,0. საერთოდ, „დინამოს" გუნდი წლევანდელი სეზონისთვის კარგად ემზადება და ბაკურიანში სსრ კავშირის თასის მოგებას აპირებს.

ქალთა შორის 5 კილომეტრზე იმარჯვა გ. პარშკოვამ („დინამო") — 16.46. 10 კილომეტრზე პირველი იყო პარშკოვას თანაგუნდელი ლ. გრებენშჩიკოვა — 34.19. III ადგილი ორივეჯერ ცნობილი მორბენლის, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონ ა. კოლჩინას მოწაფე ტ. ზირიანოვამ მოიპოვა. სპეციალისტები მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

ქალაქ კიროვის 600 წლისთავს მიეძღვნა ამ ქალაქში გამართული შეჯიბრება, სადაც ვაჟები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ 9 კილომეტრზე, ქალები — მის ნახევარ დისტანციაზე. ვაჟთა შორის მთავარი პრიზი ოლიმპიურმა ჩემპიონმა ი. სკობოვმა მოიგო — 26.13,0. ქალებში ყველას აჯობა გოგონათა შორის ევროპის ჩემპიონმა ლ. დულოვამ — 15.07.0.

გფრ-ის მოთხილამურეები ამჯერად კემპტენში ასპარეზობდნენ. 15 კილომეტრზე რბენაში გაიმარჯვა ფ. ბეტცმა — 55.48. ქალთა შორის 5 კილომეტრზე რბენა მოიგო შ. ვამსლერმა — 25.41. შედეგები აშკარად დაბალია, მაგრამ ქვეყნის სათხილამურო სპორტის ფედერაციას ეს ოდნავადაც არ აღარდებს, ვინაიდან დისტანცია მეტისმეტად რთული იყო.

ამ ქვეყნის მეორე სამთო კურორტ ნესელვანგში ჩატარდა ორჭიდელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საპოროს ოლიმპიადის ფინალისტი, იაპონელი ი. კაცურაც მონაწილეობდა. იგი შეჯიბრების ფავორიტად ითვლებოდა, ხტომები მოიგო კიდეც (ორივეჯერ — 78,5 მ) და 226,1 ქულა დააგროვა, მაგრამ 15 კმ-ზე რბენაში VIII ადგილს დასჯერდა და საბოლოოდ მეორე აღმოჩნდა — 410,16 ქულა. გაიმარჯვა რ. როზენფელდმა (გფრ) — 420,17 ქულა.

ჰანსგერგშტადტში მოეწყო გდრ-ის სპორტსმენთა შეჯიბრება 30 კილომეტრზე რბენაში. 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორს, ვეტერან გ. გრიმერს მძაფრი წინააღმდეგობა გაუწია ახალგაზრდა სპორტსმენმა გ. ჰესლერმა. ორივემ ერთნაირი შედეგი (1:56.50) აჩვენა.

შემდეგ ჰასელფელდში 50 კილომეტრზე რბოლაში გამართულ შეჯიბრებაში გრიმერმა ქვეყნის ჩემპიონის სახელი მოიპოვა — 2:30.08. ვერცხლის მედალი ერგო ჰ. ფრაიერს — 2:30.23, ბრინჯაოსი — კ. კლაუზეს — 2:30.48.

ქალები მათთვის უჩვეულოდ გრძელ, 15-კილომეტრიან დისტანციაზე ჩემპიონობისთვის პირველად იბრძოდნენ. უაღრესად დაძაბულ ასპარეზობაში ყველას აჯობა მ. ბეტცოლდმა (50.14), რომელმაც ე. კრაუზეს 23 წამი მოუგო. III ადგილზეა მ. შმიდტი — 50.52. ეს შედეგები საკმაოდ მაღალია თუ გავითვალისწინებთ, რომ საპოროს ოლიმპიადის ჩემპიონმა, შვედმა ს.-ო. ლუნდბაკმა ტანბერგში (შვეცია) ამავე მანძილის გარბენას 50.30,0 მოანდომა.

ფინელებმა მორიგი შეჯიბრება კარსტულსა და როვანიემში მოაწყვეს. მსოფლიო ჩემპიონატისთვის თავიანთი მზადყოფნა ერთხელ კიდევ დაადასტურეს კ. ლაურილამ, ე. ნიუგორდშა, პ. ტეურაიარვიმ, ჰ. ტაკალომ, მ. კაიოსმამ და ტ. იმპიომ.

# კალეიდოსკოპი

**ალმა-ათა, 13 იანვარი.** პროფკავშირელ მოციგურავეთა ჩემპიონატში ულიანოვსკელმა ლ. ანკუდიმოვამ ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა სპრინტერულ მრავალჭიდში. მისი შედეგია 175,885. აღსანიშნავია, რომ ანკუდიმოვამ ყველა დისტანცია მოიგო. კლასიკურ მრავალჭიდში იმარჯვა კ. ტკალიმ (სერიოგინა) — 189,143.

**კოტკა, 14 იანვარი.** ფინეთის ამ ქალაქში ქვეყნის პირველობაზე ზემძიმე წონის ძალოსანმა კ. ლაჰდენრანტამ მსოფლიო რეკორდი დაამყარა ატაცში — 185 კგ. წინანდელი რეკორდი ეკუთვნოდა ზაპოროჟიელ გოლიათს ლ. ჟაბოტინსკის და 183,5 კგ-ს უდრიდა.

რედაქტორის მოადგილე **ზ. ჯაფარიძე.**

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02424